ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1648967

ნომერი: AR1273739

თარიღი : 17.12.2014

გაცემის თარიღი : 18.12.2014

გაცნობის თარიღი : 18.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იპ. ხვიჩია , N 9 ; ქალაქი თბილისი , კოსტავას ქუჩა N76-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით კორძაია პ/ნ 61001005881
- ბათუმი ვაჟა-ფშაველას ქ. N 5 ბ. 4

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.07.2012 წ. #280626 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 17.12.2014 წ. #AR1273739 განცხადებით მომართა დავით კორძაიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 26.07.2012 წ. #280626 გადაწყვეტიელბით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, საკადასტრო მონაცემების ცვლილების გამო.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 26.07.2012 წ. #280626 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა N76-ის

მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , ქუჩა იპ. ხვიჩია , N 9-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (01.10.13.028.035 (546 მ2) და №01.10.13.028.035 (454 მ2)) მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.
განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერები და საკადასტრო გეგმები საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი #01.10.13.028.048 ფართობი 190კვ.მ და საკადასტრო კოდი #01.10.13.028.047 ფართობი 1000კვ.მ) რომლის თანახმადაც შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობი, საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.07.2012 წ. #280626 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმები საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი #01.10.13.028.048 ფართობი 190კვ.მ და საკადასტრო კოდი #01.10.13.028.047 ფართობი 1000კვ.მ);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.07.2012 წ. #280626 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს- 1000კვ.მ. და 190კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს- #01.10.13.028.047 და 01.10.13.028.048;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.07.2012 წ. #280626 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 08.12.2014 წ. #1630139 ბრძანებასთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.